მართლაც, სიმინდში მალე გამოჩნდნენ გაოფლიანებული ადამიანები. ისინი საოცარი სისწრაფით ყლტდნენ მატლებს და მიიწვიდნენ გორაკებისაკენ.

— მე მოვიფიქრე ერთი რამ, — თქვა ნოდარმა, — დაგვებართოთ კოლმეურნეობას, განა ჩვენ ვერ გავვლტობ ამ მატლებს? აბა, რას ვუცდიო!

— მოიცადეთ! — დაიძახა ლეო მითინმა, — დღეს უკვე აღარ მოესწრება, შუადღე გადავიდა, თანაც დღლილები ვართ, ხელოდინ იყო...

* * *

დეიდა ნინო ბალში იჯდა, რალაცას კითხულობდა. ის იხე ვეცუცნა კითხვა, რომ ჩემი მისვლა ვერც კი გაიგო.

— დეიდა ნინო რას კითხულობთ?
— დაჯექი! წერილია. — მან ხმაშალდა და წყურ კითხვა უმხანავო ნინო!

მივიღე ჩემი მოსწავლის ხათუნა ბერიშვილის წერილი. მართალი გითხრათ, უდიდესი სიხარული განვიცადე და უფრო იმიტომ, რომ ჩემს მეორე მოსწავლეს ნოდარ ვარდიშვილს თქვენ ეხმარებით — გამოსწოროს ჩამორჩენა ჩემს საგანში. ხათუნა მაცუბინებს, რომ საქმე წინ მიდის, ნოდარი ამჯამად საქმოდ ერევევა. ჩემთვის, როგორც მედაგოგისათვის, ამაზე მეტი სასიამოვნო აბა რა უნდა იყოს!..

დეიდა ნინომ კმაყოფილებით გაიღიმა, ადგა და სახლში შესვლა დააპირა, მე შევანერე.

— თქვენთან საქმე მაქვს, დეიდა ნინო.
— თქვი, ვმზაკისფებო!
— ხვალ მოცადინებო ან შედგება.
— რატომ? — სახე მიფლტრებლა ნინოს.
— ჩვენ გადაუწყვეტეთ დევნებართო ბზიფის კოლმეურნეობას. სიმინდს მატლი გაჩენია, მისი გადარჩენა ძნელი საქმეა, მთელი სოფელი ყანაშია გასული..
დეიდა ნინოს ოდნე გაეღიმა.

— კარგი, კარგი! ნებას გაძლევთ! — თქვა მან ყოყმანის შემდეგ.

* * *

ადრე დილით შარახე გვიის სტვენა გაისმა. სწრაფად წამოვდექი. ამ შემთხვევაში დეიდა ნინომ გადაუხეცია თავის ჩვეულებას და ჩაი არ დაუშალბებია. მხოლოდ კარაკი და პური შემინებია და ამით დაკმაყოფილდა.

ჩვენები უკვე შეკრებილყვენ. არდას სოფლიდან მოეტანა ხის პატარა მაშები, რომლითაც უნდა დაგვენოცა მატლები. გზას გაუვლტეთ, ხეობის ორივე ნაპირზე შეფენილ ყანებში უკვე ჩანდა ადამიანთა ჯგუფები. ეს ჯგუფები ქვემოდან მოყვებოდნენ ყანას და სწრაფად მიიწვიდნენ მალდა.

წინ აქოშინებული აგრონომი შემოგვეყარა. არდამ მას ჩვენი განზახვა უთხრა. აგრონომი გაბრწყინებული სახით მოგვკარადა.



მეცადინეობა ძია სოლომონის ბალში დავიწყეთ.

— გამარჯობათ, ყმაწვილებო, დარაზმულხართ აი! სწორედ ასე გეჭირდება თქვენი თავი. აი, ეს ყანა გერჩება და მას მივსივით! — აგრანომმა მარცხნივ ფერდობებს შეფენილ სიმინდზე მიგვიტოლა, — ოღონდ, ჩემი თხოვნაა, სიმინდი სათუთია და ფრთხილად მოექუცით. ისე ანადგურებთ მატლები, რომ სიმინდი არ დაზიანდეთ.

მზარული კისკისით გავიშალეთ ცვრიან ყანაში. პირველად შეხვედრილ სიმინდს კარგად გავესინჯეთ ფოთლები. ფოთლებების შუაში ნერვივით გაჭიმულ ხაზზე შესაზარი მოგარჩა მატლები ისმდნენ. სწრაფად მივეწვდით და გაუსრისებ. შემდეგ მეორე სიმინდისაკენ გადავინაცვლეთ, მესამისაკენ, მეოთხისაკენ... სიმინდებს შორის ხათუნამ გამოჰყრა თავი.

— ანადგურებ, ვახტანგ? — იციროდა ჩვენი ბოცმანი.

— ვანადგურებ, მაშ.

მზე თანდათან იწვედა მალლა. ის უკვე ხევიდან მოექცა ჭალარა კავკასიონს და მთელი თავისი მზურგალებით თავს დაგვადგა. მუშაობაში ისე გავერთეთ რომ არც კი გვიგრძეინა შუადღის გადასვლა.

— ყმაწვილებო, კაკლისხეებისაკენ! კაკლისხეებისაკენ! — ყვიროდა ის.

ჩვენც ყვირით გავწიეთ ფერდობზე ამყად აშლილ კაკლისხეებისაკენ, რომელთა საანო ჩრდილს დაეფარა მწვანედ მოზიბინე მინდორი.

აგრანომს კაკლისხის ძირში გახეთზე ცხელი ჭალები, სულგუნე და ნადუღი დაიწყო. აგრანომის საგზალს ჩვენი საგზალი მივეშატეთ, ლეომ ცივი წყალი მოიტანა და გემრიელად ვისადილეტ.

* * *

საღამოს, როცა მზე სანახევროდ ზღვანი ჩაიძირა, ჩვენ მუშაობით დაღლილნი, სიმღერით სოფლის შარახე მივიდიოდით. ვამბობ დაღლილები ვიყავით-მეთქი, მაგრამ ეს სასიამოვნოც იყო და საინაყოც. როცა სადილო საქმეს ვაგებებ, ყოველთვის ასეთი გრანობა მიპყრობს. ხათუნას მზისაგან სახე მთლად გაწითლებოდა, გემოწებოდა ცეცხლი უკვდილო. გვის პერანგით თავი შეგვრა და ისე ყვიროდა, რომ მისი ხმა ყველასაგან გამოირჩეოდა. არდა და ლეო ბზიფის წისქვილამდე მოგვყენენ, მერე დაგვეშვიდობნენ და ცალღება მეწიქვილე ტარასისთან ერთად სახლისაკენ გასწიეს.

დეიდა ნინო სახლის პარმაღზე იდგა. ჩვენი სიმღერა ალბათ აღრე მოესმა. რადგან მთელი ყურადღება გზისკენ

ჭკონდა მოპყრობილი; როცა დაგვიანა, ბალი გადმოჭრა და პისკართან გახნდა.

— ონაერებო, აქეთ! — იძახდა ის და ცხვირსახლეს გვეჭყნევდა, — აქეთ მოდიო, მე თქვენ ვაშაში მოვიზნალეთ.

ჩვენმა რაზამა კურსი დეიდა ნინოს ბალისაკენ აიღო.

ჩვენსა და დეიდას უკვე მოესწროთ მავიდის გაშლა. უხვად ეყარა ნამცხვრები (სხვათა შორის დეიდა ნამცხვრების საუკეთესო სტეკალისტია). მეზალემ ჩამოარჩა ჩაი, დეიდა ნინომ ბალის შუკი აანთო და ჩვენ სიამოვნებით შევეშვიტე გემრიელ ვაშაშს.

— აბა, ბებებო, მოყვეით ახლა, როგორ ისახელეთ თავი! — თქვა დეიდამ და მეზალეს ამაყად შეხედა.

ჩვენც დაწვირდით ვუამბეთ ჩვენი ამბავი.

* * *

ზაფხული იწურებოდა, კარებს აღებდა მსუქანი შემოდგომა. ლელებმა გამოაჩინეს წითელი გული, ხეებმა იხაზელა ჩამღვინიფერბა.

ახლოდებოდა აგარაკიდან წასვლის დრო. პირველად ნოდარი და ხათუნა გაემზავრნენ. ნოდარს საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩ:ებარებინა. ჩვენ შევთანამდით, რომ ერთმანეთთან მიმოწერა გვექნებოდა.

მაღე მათ სხვებიც მიჰყენენ, მერე ჩვენც, და აი, უკვე თბილისში ვარ, ჩემს სახლში, მშობლებთან. დერეფანში ფეხის ხმა ისმის და შემდეგ მუხობლების გვარებს მორიგეობით ვილაც იძახის. ვგრძნობ ეს ჩვენი ფოსტალიონია, მოხუცი იორდანე, კარებს ვაღებ. ძია იორდანე წერილს მაწვდის.

— შენ სახელზეა, ვშმაკისფეხო.

კონვერტს ვხვებ. ხათუნას ხელია.

„ვახტანგ!“

აი წერილს სიხარულით ვწერ, დეიდა ნინოს ამავი დააკარგა, ნოდარმა წარმატებით ჩააბარა. გადავცი დიდი მადლობა დეიდა ნინოს. მომიკითხე შენი მშობლები“.

ქვეით ნოდარი წერს: „ძვირფასო ვახტანგ! მე და ხათუნა წელს შენთან ჩავემუშავებთ სოცშეჯობრებაში. ვნახოთ, ვინ აჯობებს. ამის შესახებ ცალკე მოგწერთ.“

ხათუნა, ნოდარ,

ზესტაფონი“.

მე გავიქეცი და ეს დიდი სიხარული დეიდა ნინოს გაუწაწილე.



ივანე მაჩაბელი

(დაბადებული 100 წლისთავის გამო)

ივანე მაჩაბელი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და-
ილუბა. მას კიდევ ბევრი სარგებლობის მოტანა შეეძლო სამ-
შობლოსათვის, თავისი ხალხისათვის, რომლის სამსახურშიაც
იგი არ ზოგავდა არც დიდ ნებსა და ცოდნას, არც ჯან-
მრთელობას, არც დროს, არც ენერგიას. სულ ოცდაათი წლისა
იყო მაჩაბელი, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე
რომ გამოვიდა, და მამინევე საყოველთაო ყურადღება და პა-
ტივისცემა დაიმსახურა.

ივანე მაჩაბელი 1854 წელს დაიბადა, სოფელ თამარაშენ-
ში, რომელიც დღევანდელი სტალინირიდან სამიოდე კილო-
მეტრით არის დაშორებული. პირველდაწყებითი განათლება
მაჩაბელმა თავის სახლში მიიღო, რის შემდეგაც იგი შეიყუა-
ნეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. პატარა ვაწო
სწავლამაც ისეთივე სიხედავეა და გულმოდგინებას იჩინ-
და, როგორც შემდეგ, საზოგადოებრივი მოღვაწეობის დროს.
მან წარმატებით დამთავრა თბილისის გიმნაზია და სწავლის
გასაგრძელებლად პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც იგი შევი-
და პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფა-
კულტეტზე, სტუდენტობის დროს მაჩაბელი კარგად გაიწავა
ევროპულ ენებში და პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავ-
რების შემდეგ აგრეთვე იღიარდა განათლების მისაღებად ჯერ
გერმანიაში, ხოლო იქიდან საფრანგეთში გაემგზავრა.

სამშობლოში დაბრუნებული მაჩაბელი გვერდში ამოუდ-
გა თავის დიდ თანამედროვე მწერლებსა და საზოგადო მო-
დაწეებს—ილიას, აკაკის, სერგი მესხს, ნიკო ნიკოლაძეს, და
აქტიურად ჩაება საქმიანობაში. იგი სისტემატურად აქვეყნებ-
და გაზეთებში სამეცნიერო საუბრებს, თეატრალური ხასიათის
რეცენზიებსა და წერილებს, სერვიოზობისა მიმხრობების,
მონაწილეობას რბულთადაც ყველა მნიშვნელოვან საქმეში,
რაც მაინც ჩვენი ხალხის ყურადღების ცენტრში იდგა.

ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ად-
გილი უჭირავს შექსპირის მაჩაბლისეულ თარგმანებს. შექს-
პირის თარგმანს საქართველოში დიდი ისტორია აქვს: ჯერ
კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში ქართულად
თარგმნილობდა და იღვებოდა შექსპირის გენიალური პიესები.
მაგრამ ეს თარგმანები დაბალ მხატვრულ დონეზე იდგა
და ოდნავადაც კი ვერ ვაღმოსცემდა დიდა ჰუმანისტო მწერ-
ისა—უთლიან შექსპირის ნაწარმოებთა იდეურ სირღმესა და
მხადმობაძერებლობას. ამიტომ ილია ჭავჭავაძისა და ივანე
მაჩაბლის მიერ 1873 წელს თარგმნილი „მეფე ლირმა“ მა-
შინვე მიიყრა დართო საზოგადოების ყურადღება. ყველა
მოხიზმაძერე იყო ამ თარგმანით. თარგმანზე ისინი მუშა-
დნენ პეტერბურგში. სადაც იმ დროს მაჩაბელი სწავლობდა,
ხოლო ილია ჭავჭავაძე ერთი წლით იყო ჩასული ბანკის საქ-
მეებზე. ილია თარგმანის შესახებ პეტერბურგიდან სწერდა
თავის მეუღლეს:

„... ვერ წარმოიდგენ, რა რიგად კარგად ვაღმოვიდა
ქართულს ენაზე... არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს
არ შეედარებ... აქაური ყმაველია ცოცხა მგა თარგმანისა-
თვის გაგებებულა და აღტაცებაში მოხვლი“.

ჯერ სწავლით, ხოლო შემდეგ საზოგადოებრივი საქმე-
ებით დატვირთულმა მაჩაბელმა დიდიანს ვეღარ მოახერხა
განეგრძო ეს ჩინებული დაწეებული საქმე—შექსპირის უკვ-
დად ნაწარმოებთა თარგმნა. პირველი ტრაგედიის თარგმნი-




დან მხოლოდ 12—13 წლის შემდეგ შესძლო მან გაგრძელებ-
დინა თავისი საყვარელი ლიტერატურული მუშაობა. 1886
წელს მან თარგმნა შექსპირის მეორე გენიალური ტრაგედია
„ჰამლეტი“. თარგმანი კიდევ უფრო დიდი მხატვრული სიძ-
ლიერისა იყო. მაჩაბლის თარგმანებს აღტაცებაში მოწყადა
ხალხს, რადგანაც მაჩაბელი ენის საკითხში ილია ჭავჭავაძის
პოზიციაც იდგა და სალიტერატურო ენაშიაც ხალხური საწ-
ისებელებად გამოდიოდა.

მაჩაბლის თარგმანების უდიდესი ღირსება, ვარდა ორი-
გინალოთა სიასლოვისა, არის ენის ლექსიკური სიმდიდრე,
აზრის სინათლე, დინამიზირება და დიალოგის ის საოცარი
ლადი მდინარება, რაც სცენიური ნაწარმოებისათვის პირველ-
ნაბისოვანი საკითხია. ამიტომაც იყო, რომ მაჩაბლის თარ-
გმანების გამოჩენისთანავე ქართველი სცენიური სულ განიფე-
ნა შექსპირის ძველი თარგმანები, რომლებიც დამძიმებული,
აჩრქველი ენით იყო შესრულებული და მსახიობებს წარმოუქმა
უძემოძებოლო, ხოლო მაყურებლებს მოსვენა.

ივანე მაჩაბლის რომი ლიტერატურის ისტორიაში მარ-
ტო თარგმანით კი არ განისაზღვრება, იგი ამასთან გვევ-
ლინება ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი
ფუძემდებლადაც.

„ჰამლეტი“ მალე მოჰყვა „ოტელო“, „შაქეტი“, „რი-
ჩარდ მესამე“, „ოთელიუს კეისარი“... სულ რვა ტრაგედიის
თარგმნა მოასწრო ივანე მაჩაბელმა. ჯერ კიდევ სრულიად
ახალგაზრდა, შემოქმედებითი მუშაობის გაფურცქვის პერი-
ოდში დაიღუპა იგი. 1898 წლის 26 ივნისს ვეღარ დაგვიდა
და უგზოუგვლოდ დაიკარგა.

3. გიორგობიანი



გეგანიზებული ფარგაში

პირუტყვის საკვებით დატვირთული ავტომანქანა თუხთუხით შევიდა ფერმის ეზოში, წრე მოხაზა და გაღებული კარის წინ გაჩერდა. მწყემსები და მწველავები გარეთ გამოიკვიდნენ. ზოგს უკვე მოემარჯვებინა ფიწალი და ნიჩაბი.

მძლოლმა კახინის კარი გამოაღო, გაეას ხელი ჩაავლი და დაბლა ჩამოსვა.

— აი, შეილო, ესეც ჩვენი კოლმეურნეობის ფერმა. ვიდრე ავტომანქანას დასცლიან, წაყიდეთ, დავათვალიეროთ!

გაეას ნატვრად გადაქცეოდა ფერმის ნახვა. რამდენჯერ სთხოვა მამას ფერმისაკენ ჩამაქროლიყო. ის ყოველთვის გადაუდებელ საქმეებს იმიზეზებდა. კლასში ამხანაგებიც მოსიყვებნას არ აძლევდნენ, მამაშენი კოლმეურნეობის ავტომანქანაზე მუშაობს, ყოველდღე პირუტყვის საკვებს ეზიდება, შენ კი ერთხელაც ვერ მოახერხე ფერმის დათვალიერებაო...

დღეს ნატვრა აუხდა. ამქარებთ შევიდა პირუტყვის სადგომში. რძის სუნით გატენილი ჰაერი ეცა. ბაგების წინ ჩამწყრივებული იდგნენ გასუთვათეული, გაკრიალებული მოწითალო ძროხები.

ფერმას თავიდან ბოლომდე გასდევდა ვიწრო ლიანდაგი. ის იყო გაეას მამისათვის უნდა ეკითხა ამ ლიანდაგის დანიშნულება, რომ მოულოდნელად მასზე ნაკელითა და საკვების ნარჩენებით დატვირთული მომცრო ევაგონები გამოსრიალდა. ვაგონებს უკან პატარა, შავფერშიანი გოგონა მოსდევდა. გაეას გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა.

— ეე, შეილო, მურვათა აზრამ-ყშია, — თითქოს ნაფიქრის მიუხედავად, უთხრა მამამ, — მაგისი დედა განთქმული მწველავია, გოგონა ხშირად ეხმარება მას. თვითონაც კარგად წველის. ვაჟა ვაგონებთან მივიდა.

— მოგვმხარო!

გოგონამ მაყვალვით ჩაშაფიებული მსხვილი თვალები შეავლო ყელსახევიან, სუსთად ჩაცმულ ბიჭს. მხრები აიჩემა, რაც გააკვირვებდა და თანხმობის გამოხატვდა.

— მწველავი ხარ? — შეკითხა ვაგონტის უკან მის მხარდახარ მიხაველ მურვათას.

- არა, მოსწავლე.
- შეგი, აქ რას აკეთებ?
- თავისუფალ დროს დედას ვეხმარები.
- კარგია ფერმაში მუშაობა?
- მე ძალიან მიყვარს, სხვების არ ვიცი...

ვაგონეტი შენიობის ბოლოს გაღებული კარიდან გარეთ გასრიალდა. აქედან კარგად მოჩანდა ჯერ კიდევ ხარაზობშეიშონელი ღიღუბის ახალი ხიდი. მტკერის მეორე მხარეს კაგოლ-მაულის ფაბრიკის კვამლსადენი ხრჩოლავდა.

— გინდა ვაგონტის დაცლა გასწავლო? — მოულოდნელად შეკითხა გოგონა და პასუხისათვის არც დაუცლია, ქვევლან ლითონის მანქვი გამოაძრო. ვაგონეტი ხმაურით აყირავდა, ნაკელი დაზავდა.

— მისვდი?

ვაჟამ თავი დაუქნია.

* * *

ეს მოხდა შემოდგომით... მურვათა სკოლიდან დაბრუნდა მწველავებისამებრ ჯერ ფერმისკენ გაიქცა, დედა ხომ ყოველთვის იქ იყო! ყველგან მიიზინა, ფერმაშიც იყო, დედა არსად ჩანდა. «ალბათ, სახლში იქნება», — გაიფიქრა გოგონამ და შენიშვნა გაიქცა.

მწველავებისა და მწყემსების რამდენიმე ოჯახი ფერმის ეზოში ცხოვრობდა. ესენი საქართველოში დიდი ხნის წინათ ჩამოსახლებული აზერბაიჯანელები იყვნენ. დიდძელმა კოლმეურნეებმა მათ მეგობრობის ხელი გაუწოდეს, ხოლო კოლმეურნეობაში ბინები აუშენა ფერმის ეზოში. აქ დაიბადა მურვათაც.

... დედა ლოგინში იწვა. სიცხისაგან ლოყები ასწითლებოდა. შუბლზე თვლი ჰქონდა დაყრილი. ექიმნი დარბევას აძლევდნენ.

— ადგომ ან შეიძლება, ავადმყოფობა გაგირთულდება. წამლები დალოე და ორ დღეში მოპოვობინდება.

— ექიმო, ძროხებს ვილა მომიწვევს!... — ნაღლიანად ამბობდა ასლან-ყში, — ამხანაგებს ჩამოფრები...

— დარდი ნუ გაქვს, უშენოდაც მოუვლიან...

ასლან-ყზი სახელგანთქმული მწველავი და ბირუტყვის საუკეთესო მომღვლები. მურვათა ამით ამაყობს კიდეც ამხანაგებში. გოგონა ხშირად დედასთანაა ფერმაში. იცის, როგორ ფაქიზად უფლის ძროხებს დედა. თავის დროზე ასუფთავებს, საკვებს და წყალს არ აკლებს, წველის გრაფიკის მიხედვით. ბირუტყვი უჭი და ნოყიერი რძით უნაზღაურებს შრომას. მურვათამ ისიც იცის, რომ დედა სოციალისტურ შეფიქრებულა ჩაბმული მწველავებთან.

— ვი, რომ დამარცხდეს! — გაიფიქრა მან. გოგონას გული შეეკუმშა, დედასთან ახლოს ჩამოჯდა, სიციხან მკერდში ჩაიხუტა. გართე შემოდგომის ქარი ქროდა. შეყვითლებული ფოთლები ჰაერში ირეოდნენ.

ზარის ხმა გაისმა... წველა იწყებოდა. მურვათა ფანჯრიდან ხედავდა, როგორ გარბოდნენ თეთრხალათიანი ქალები. მურვათამ ირინად გადახედა ჩაძინებულ დედას, კარი ფრთხილად გააღო და ფერმისაკენ გაიქცა.

ფერმაში შესვლისთანავე გოგონამ დედის თეთრი ხალათი გადაიკცა, კალთები აიკეცა და საწველი აპარატი ქლოშინით მიიტანა ძროხებთან.

ჩაცუცქდა, ძუძუსთავეზე მოარგო... სინარულისგან თვალები უცემივებდა.

ფიქრში გართულმა ვერ გაიგო, თავს როგორ წამოადგენ მწველავები. მათ თვინათი საქმე მოეთავეზათ და ახლა ასლან-ყზის მისაშველელად წამოსულყვენენ.

— ყოჩად, მურვათ! — სინარულით შესძახა მწველავმა ტასომ და გოგონა შევიღიეთ მიიხუტა გულთან.

ტასო ასლან-ყზის ეუიბრებოდა. ამ დღით სიციხანი ასლან-ყზი ძალით გაისტუმრა სახლში, მე მოწვეული შენს ძროხებს, ნუ გეშინია, არ ჩამოგარჩენი — უთხრა მან და აი, კიდეც მოვიდა დასახმარებლად, მაგრამ მურვითამ დაასწრო. ... ამ დღიდან მურვათა ფერმის მკვიდრი გახდა.

სკოლის ეზოში შეკრებილი ბავშვები გულდასმით უსმენდნენ ვაჟა ხოსიტაშვილს... ყველამ სურვილი გამოთქვა ექსკურსია მოეწყოთ ფერმაში, თანაც შეუთბა ეკისრათ.

ბავშვებმა ვერც კი შენიშნეს, როგორ მიუახლოვდა მათ სასწავლო ნაწილის გამბე.

— რაკი ასე გსურთ, ხვალ წაივლით ფერმაში, — თქვა მან.

ბავშვები სინარულით ახმაურდნენ.

მეორე დღეს დიდმის კოლმურწიანობის მექანიხებულ ფერმას თანასოფელი მოსწავლეები ეწვივნენ... ზოოტექნიკოსი მარიკა ჯავახიშვილი ბავშვებს წინ გაუძღვა.

ერთ ადგილას გაჩერდნენ. მანქანა ხმაურით მუშაობდა. სახეაწითლებული ახალგაზრდა კობტონის მთელ ფილებს ყრიდა ხეიმირაში. აქ ის იღწეებოდა, იმტეროდა და დაუჭვილი ჩამოდიოდა. გვერდით სხვა მანქანა გუგუნებდა. მწყემსენს ტომრებით მოჭქონდით საკვები ჭარხალი. მანქანა თვალის დახამამებში იტაკებდა დასერილ ჭარხალს, ატრიალებდა, საგულდაგულოდ რეცხდა და წერილად ჭრიდა.



სურათზე: (მარცხნიდან) სოლო გილაური, მურვათა აბრამ-ყზი და ნოდარ ხელაშვილი ხბოსთან, რომელიც დაბადებისას 47 კილოგრამს იწონიდა.



სურათზე: დიდმის საშუალო სკოლის მოსწავლეები ჩალის საჭრელ მანქანასთან.

— ეს კობტონის წისქვილი უნივერსალია, ეს კი ძირხვევების საპრელი მანქანა, — თქვა ზოოტექნიკოსმა, — პირუტყვი ზედმეტად რომ არ გადავტვირთოთ საკვების ღებვით, მას წინასწარ ეუმზადებთ. გვაქვს სხვა სახის მანქანებიც. აი, მაგალითად, წელან გარეთ სომ ნახევ ჩალის საპრელი? ის ჩალას წვრილად ქრის, შემდეგ ორთქლი ვატარებთ და ისე ვაძლევთ პირუტყვს.

— სილოსი როგორღა მზადდება? — იკითხა ვაჟამ.

— სილოსი საუკეთესო წვნიანი საკვებია პირუტყვისათვის. სიმინდის, სორგის ან სხვა მწვანე მასის ზაფხულში და შემოდგომით სილოსსაპრელი მანქანით გვუწავთ და სასილოსე კოჟუურებში ან ორმოში ვინახავთ. აქ ის წვეს გამყოფს. სურნელოვან საკვებს პირუტყვი გემრიელად ჭამს.

ბავშვები პირუტყვის სადგომში გავიდნენ. ირგვლივ სამაგალითო სისუფთავე სუფუდა. ძროხებს თავი ჩაერგოთ საკვებურებში და აუჩქარებლად იცხონებოდნენ. ერთმა ფერდსაქე ძროხამ ცოტა უკან დიწია, გაფიცებული ტურები შეაზო სარწყულებელს. წყალი წამოვიდა, რკინის ფინჯანი გაიფოს. როცა წყურვილი მოიკლა, ისევ საკებურს მიუბრუნდა. ფინჯანში წყალი აღარ იდგა.

— ავტომატური სარწყულებელია, — მცოდნე კაცის იერიით უხსნიდა ვაჟა ამხანაგებს.

ბავშვები გატაცებით ავღალიერებდნენ. წყლის მიღები უერთდებოდა ავტომატურ სარწყულეზებს, რომლებიც ყველა ძროხასთან იდგა.

ლურჯბალათიან მომვლელ ქალს რაღაც მოწყობილობა მოჰქონდა. იგი ერთ დასვრილ ძროხასთან შეჩერდა. დენი ჩართო. მტერისაწოვმა მექანიზმმა თვალის დანახვამებაში გაასუფთავა პირუტყვი.

— ჩვენთან პირუტყვის გასუფთავებაც მექანიზმებულია, — განმარტა ზოოტექნიკოსმა.

ყველას ყურადღება მიიპყრო განცალკევებით დაბულმა ბულამ, რომელიც ჩაისხილიანებულ მსხვილ თვალებს უცნაურად

აბრაილებდა. გროლითურ ტანს მედიდურად არსებდა. ბავშვებს უთხრეს, რომ ფერმაში მას ზვერი შთამომავალი ჰქვამს. გამსაკუთრებით უვლიან, თურმე კვერცხსაც კი აჭებენ.

ზარის სმაზე ფერმა ახმაურდა. იწყებოდა წველა. თურმისა ლაიანი ქალები ძროხებთან ჩაცუცქდნენ, ჯიქნებზე შექანიერის საწველები მთარგეს. მალ-მალე იცხებოდა ქურტელი, ობოლრქეს წონიდან, ცხიმიანობას ამოწმებდნენ, შემდეგ მოზრდელ ქურტელში ათავსებდნენ და პირდაპირ ქარხანაში გაზავდნენ. ფერმაში რძის თავისებური სუნი დატრიალდა.

— ავერ მურვათა! — უცბად წამოიძახა ვაჟამ.

გოგონა დღესთან ერთად იდგა რძით გავსებულ ქურტელთან. ის გაღიმებული შესცქეროდა თანაკლასელებს.

ნახულით აღფრთოვანებული ბავშვები გამოური გავიდნენ ფერმის ეზოში. მათთან ერთად მურვათაც გამოვიდა. უცბად ის სადღაც გაჰქრა. ძებნა დაუწყეს.

— ავერ ისიც! — წამოიძახა ანეკო სმალაცემ.

მწყემს დარჩო ფირანიშვილს ლამაზი ბოროლა მოყავა. მურვათს მისთვის კისერზე შემოეჭლო ხელები,

— რამდენი ხნისა იქნება? — შორიდანვე იკითხა მან.

— სამი თვის... ხუთი თვის... ოთხი თვის, — წამოიძახეს ბავშვებმა.


— მხოლოდ ორი კვირისაა. რომ დიხობდა, ორმოცდაშვიდი კილო იყო! — გაღიხარხარა გოგონამ და ტაში შემოჰკრა. ბავშვები გაოცდნენ.

— რუსეთის ცნობილ ფერმებში, — თქვა მწყემსმა, — უფრო დიდი, სამოცი — სამოცდაათკილოიანი ხზობიცი იხადება. ეს ძროხის კარგი მოვლის შედეგია. მურვათს დედა, ასლან-ყი ამ ბოროლან დედის ყურადღებას როდი აკლებდა...

რამდენიმე წუთის შემდეგ ექსკურსიით კმაყოფილი ბავშვები მხიარული ყვირით ტოვებდნენ მექანიზმულ ფერმას.

**ბიორკი ოძრუაშვილი,
გიორკი ხეჩუაშვილი.**

ფოტო გ. ვახტანგაძისა



სურათზე: დიდის საშ. სკოლის პიონერ-მოსწავლეები ექსკურსიიდან დაბრუნების შემდეგ თავიანთ შთაბეჭდილებებს წერენ შთაბეჭდილებათა წიგნში.

ქათამი და იხვი



(იზავარაკი)

კვერცხი დადო დედამა და მოჰყვა კაკანს, მოჰყვა კვეხნას, თითქოს კვერცხი იმის გარდა არ დაედოს ქათამს ქვეყნად.

მოჰყვა კვეხნას, მოჰყვა კაკანს: კა-კა, კა-კა, კა-კა, კა-კა!..
კვერცხი დავდე, კვერცხი, კვერცხი! გაიფრინეთ ყველამ კარგად!..

გადმოფრინდა საბუდრიდან, ხან აქ მოვა, ხან იქ წავა და თავისი კა-კა, კა-კა — არ იქნა, არ გაათავა!

იხვმა უთხრა: «იხვ, იხვ, იხვ, იხვ!.. რას კაკანებ, რას გაჰყვირი?! ერთი კვერცხი დაგიდგია, აქ რა არის გასაკვირი?»




კვერცხი დადე? მერე რაა? მოგიხდია შენი ვალი; რის მაქნისი არის, აბა, თუ არ დადებს კვერცხს დედალი?!

ჩვენ ბუნებამ — ყოველ სულდემულს საქმე მოგვცა შესაფერი; კვერცხს მეცა ვღებ, ბატიც, მტრედიც, ინდაური და სხვაც ბევრი,

მაგრამ ჩვენგან ვის სმენია ამის გამო თავის ქება? ვალს იხდი და სხვებს აწუხებ, ლუკმა როგორ შეგერგება?!


მოუსმინა იხვს ქათამმა, მაგრამ ვერა შეისმინა, კვერცხს დადებს და სულ კაკანებს, სულ იკვების, როგორც წინათ.

ქათმის ადათს რას დავეძებ, იტრაბახოს, კვერცხს რომ დადებს; ზოგი ჩვენში ამ ქათამს ჰკავს და მე სწორედ ეს მადარდებს.





ნიჰენი საყვარელ მწერალზე და საზოგადო მოღვაწეზე



ნინო წაკაშიძე

ტრადიციებზე აღზრდილმა, ნ. წაკაშიძემ საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ხალხის სამსახური დაისახა მიზნად. და, უკვე სამოც წელზე მეტია, მისთვის ჩვეული ენერჯითა და ხალხისი მუშაობა.

XIX საუკუნის ბოლო წლებიდან ვიდრე დიდი ოქტომბრის სოციალიტურ რევოლუციამდე ნ. წაკაშიძე, მიუხედავად მუშაობის მძიმე პირობებისა, მთელ თავის ენერჯიას უკეთესი მოამბელისათვის ბოძოვლას ახმარდა. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში იგი ნაყოფიერ, საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა თვითმპყრობეობის წინააღმდეგ ანშედრებული ხალხის დასახმარებლად; მომდევნო წლებში ასევე აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საქველმოსქმნელ საზოგადოებებში; აარსებს მუშათა ბავშვებისათვის საკერაო სკოლას; მისი უშუალო მონაწილეობით თბილისში იხსნება პირველი ქართული საბავშვო ბაღი; ნ. წაკაშიძე მონაწილეობს ქართველთა შორის წერ-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში ხელმძღვანელობს „კავკასიელ ქალთა საზოგადოებას“ და სხვ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც არის მისი მოღვაწეობა პირველი ქართული საბავშვო უფრინაო „წაკადულში“, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულა მოხარული თათბის გათვითწინაგებებისა და აღზრდის საქმეში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უარით სარბიელად გადაიშალა კულტურული საქმიანობისათვის და ნ. წაკაშიძის ნიჭიც, როგორც მწერლისა და საბავშვო ლიტერატურის მოწოდისა, ახალი ძალით გააფორმდა. ნინო არაჩვეულებრივი ხალხისთა და ენერჯითი შეუდგა მუშაობას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე იგი ხელმძღვანელობს საბავშვო წიგნების გამოცემის საქმეს. პირველად განახორციელა მან დიდი ხნის ოცნება, — მიეწოდებოდა საყვარელი ბავშვებისათვის ფერადნახატებიანი წიგნი. 1925 წელს დაარსდა საბავშვო უფრინაო „წითელი სხივი“, რომელსაც „პიონერი“ 1926 წლიდან ეწოდა, ნინო წაკაშიძე ამ უფრინალის უახლოესი თანამშრომელი და ერთ-ერთი მოამბე გახდა.

ნინოს ამაგი დააფასა ხალხმა. 1946 წელს დიდი ზემოთ აღინიშნა მისი დაბადების სამოცდათუთმეტე წლისთავი, 1952 წლის იანვარში კი დაბადების 80 წლისთავი.

მცოვან მწერალს დღესაც ახალგაზრდული ენერჯია და ხალხისი შერა. იგონებს რა თავისი ცხოვრების გრძელს და ნათელ გახს, იგი ამბობს: „დრომ სწრაფად გაირბინა, ასე მეოწია, გუშინ იყო ეს ყველაფერი. მაგრამ სიბერისათვის ჯერ მაინც არ მცალია. მე მიყვარს ბავშვები, ჩვენი ქვეყნის გაზაფხულის ყვავილები და მათთვის ხმ ბგერის რაიმე ჯერ კიდევ არ მითქვამს“.

ნ. წაკაშიძის ცხოვრება სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის უწყვეტად მუშაობის ნათელი მაგალითია. „საბოტაჟში“ კარგი საქმე გააკეთა იმით, რომ გამოცდა ნ. ხომერკის წიგნი „ნინო წაკაშიძე“. აქ დაწვრილებითაა მიმოიხილული მსოფლიო მწერალი ქალის ცხოვრება, შემოქმედება და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. წიგნი დაწერილია ბავშვებისათვის გასაგებში, სურათოვანი ენით და ხალხისთი იკითხება. ნორჩიკითხველი ინტერესით გაეცნობა ამ წიგნს.

შოთა სულაბაძისიძე

ნორჩი მკითხველები კარგად იცნობენ საყვარელ მწერალს ნინო წაკაშიძეს. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ნ. წაკაშიძე უანეროდ ემსახურება ხალხს. განსაკუთრებული ამაგი დასდო მან მოხარულ თათბას, რომლის წამდგელი მგობარი და მოქირანახულე გახდა.

თავისი შემოქმედებით ნ. წაკაშიძემ ბევრი სიხარული განაცდივინა ბავშვებს. საქართველოში ალბათ არ მოიხებნება ახალგაზრდა, რომელსაც წაითხული არ ქონდეს ნინო წაკაშიძის „ორი დედოფალი“, „პასუხად პატარა მებრეს“, „ჩვენ დავიკარგეთ“, „ჩიკოკოა“, „უღელ და თეთ“, „კურდღლის კუდი“, „ცეროდენა“, და სხვ. ბავშვებისადმი სიყვარულით და სინტერესოდ დაწერილი მრავალი მოთხრობა თუ ზღაპარი ნ. წაკაშიძისა ადვილად პოულობს ადვილს ნორჩ მკითხველთა გულში და უნერგავს მათ სპეტაკ გრძობებს, მაღალ მოთაღს, შთაბრძნებს სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას.

მაგრამ ნ. წაკაშიძე მხოლოდ თავისი მხატვრული შემოქმედებით კი არაა საყვარელი. მას ჩვენი ხალხი პატივს სცემს, აგრძობს, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწის, რომელმაც პირნათლად შეასრულა თავისი ვალი ხალხის წინაშე. მოწინავე რუსული და ქართული მწერლობის

მთავრობის განცხადება

საქართველოს საზღვრო დაცვის განხორციელების შესახებ

ყველაზე რთული იქნა, რომ საფრანგეთის დელეგაციის ქვეშ არსებობს მთელი მიწისქვეშა ქალაქი, რომლის ტექნიკის საერთო სიგრძე 300 კილომეტრს აღემატება. მიწისქვეშა პარიზის „ქუჩების“ ნაწილი გამოკვლეულია და აღნიშნულია რუკაზე, მაგრამ ბევრი მისი კუთხისათვის საშუალო საუკუნეებიდან დღემდე ჯერ არავის მიუღწევია.

მიწისქვეშა ქალაქი წარმოიშვა საუკუნეებით, მიწისზედა პარიზის მშენებლობასთან ერთად 20—30 მეტრის სიღრმეზე აქ ქვისსამტრეკები იყო. იქიდან ამოღებული ქვით არის აშენებული პარიზის თითქმის ყველა შენობა. პარიზის მრავალ მიწისზედა კავრტალს შეესაბამება მიწისქვეშა კავრტალი.

დროთა განმავლობაში უძველესი ქვის-

სამტრეკებს სხვადასხვა მიზნებისათვის იყენებდნენ. დღევანდელ-რომართის მიწისქვეშა დარბაზებში ჩააზრდეს ლოკიდირებულ სასაფლაოებიდან ნახევრადგასრული ჩონჩხები. ვალ დე გრასის ქვეშ სათაქსიბო გამოყენებული აქნა საწყობებად და ღვინის სარდაფებად. მიწისქვეშა პოლუბოდნენ თავშესაფარს უზინაონი, იმაღლებოდნენ მცხოვრებნი ოპიანობის დროს.

კატაკომბებში გამოყენებულია სიჩუმე. უძველესი ნახლებავებს აქა-იქ ჯერ კიდევ შეყენებული აქვს ნახევრად დამაალი ძეღეი. ხან აქ, ხან იქ გვხვდებოდა კლდოვანი გრუნტები ამოწმული ვიწრო კიბე, ქვის სკამი, მცირე ღრმული, რომელიც გულდასმითაა ამოშენებული ქვეში, სადაც წვეთწვეთებით მოქონავს წყალი მიწისქვე-

შა წყაროებიდან. ზოგ ადგილას კვლავზე შერჩენილია მიწისქვეშა ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებანი.

შუემწინველი ბზარებიდან ქონავს წყალი. წყალი ქვეთავს გრუნტს და იწვევს თაღების დაქცევას მიტოვებულ ტალახებში. გრუნტის დაწვევა ზოგჯერ იწვევს მიწისზედა შენობების დანგრევას და ქუჩების ჩაქარებას.

მაკალითად, გასული საუკუნის დასასრულს და მიმდინარე საუკუნის დამდეგს მოხდა გრუნტების ღრმა ჩაქარდნა ნანეტრსა და ბანილდში. ჩანგრევას თან ახლდა აღმავანთა მსხვერპლიც, სახლების დანგრევებაც, რაც ჩვენს დროშიც ხდება, განსაკუთრებით საგრძნობია პარიზულთათვის, რომლებიც მწვევად საბინაო კრჩის განიცდიან.

კ ა ლ მ ე დ ა რ ი

უცვლელ შორეულ წარსულში ადამიანთა საზოგადოებაში თავი იჩინა დროის აღრიცხვის აუცილებლობამ. უზირველესყოფილსა შეამჩნიეს, რომ ერთი გაზაფხულიდან მეორე გაზაფხულამდე (ან შემოდგომიდან შემოდგომამდე და ა. შ.) ციური სხეულები ცაზე ისევ ძველ მდგომარეობას უზრუნდებოდნენ და ამას სჭირდებოდა 365 დღე. ეს იყო წლის ხანგრძლივობა ყველაზე ძველ, ეგვიპტურ კალენდარში.

უფრო გვიან გამოირკვა, რომ წელიწადში 365 დღე, 5 საათი, 48 წუთი და 46 წამია. ეს განსხვავება (5 საათი, 48 წუთი და 46 წამი) ომს წელიწადში ერთ დღეს შეადგენს. რომის იმპერატორმა იულიუს კეისარმა ეს შესწორება შეიტანა კალენდარში და ჩ. ე. 46 წელს დააწესა, რომ ყოველ მეოთხე წელიწადს (ნაკიან წე-

ლიწადს) ერთი ზედმეტი დღე ჰქონოდა — 29 თებერვალი.

მაგრამ ეს სიზუსტე საქმარისი არ აღმოჩნდა, რადგან 5 საათი 48 წუთი და 46 წამი ოთხი წლის განმავლობაში შეადგენს, არა ზუსტად ერთ დღე-ღამეს (24 საათს), არამედ 23 საათს 15 წუთსა და 4 წამს. ე. ი. ერთ დღეზეაღეს აკლია 44 წუთი და 56 წამი. ამ განსხვავებამ იულიუს კეისრის დროიდან 1582 წლამდე (ეგვიპტოში) ახალი სტილის შემოღებამდე) 13 დღე შეადგინა და სწორედ ამიტომია, რომ ძველი სტილი ახალს ჩამორჩება 13 დღით.

ახალი სტილის შემოღებამ გასწორდა დღეების აღრიცხვაში არსებული ჩამორჩენა, მაგრამ ეს განსხვავება ხელახლა რომან დიპლომატიის, 1582 წელს შეთანხმდნენ, რომ ყოველ 100 წელიწადში 25 ნა-

კიანი წლის ნაცვლად 24 ყოფილიყო, ანუ უფრო ზუსტად ყოველ 400 წელიწადში 100 ნაკიანი წლის ნაცვლად 97. პრაქტიკაში ეს იმით არის მიღწეული, რომ იმ საუკუნის უკანასკნელ წელი, რომლის საუკუნის მაჩვენებელი 4-ზე არ იყოფა უბრალო წელად ჩითვლება. მაგალითად XVII-ს ბოლო წელი (1700 წ.) უბრალო წელი იყო, ასევე უბრალო წელი იყო 1800 და 1900 წელიც. სამაგიეროდ 1600 წელი ნაკიანი იყო და 2000 წელიც ასეთივე იქნება.



მეფის რუსეთში რელიგიური მოსაზრებებით ახალი სტილი არ შემოვიდა. ჩვენში ახალი სტილი შემოიღეს მხოლოდ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ 1918 წლის 14 თებერვალს.

ს ა ს ლ ო მ ე ნ ო ო ს ტ ა ტ მ ი

ბავლოველი ოსტატები (ბავლოვო-ოკა-ზე) ძველთაგან სახელგანთქმული არიან თავიანთი ხელოვნებით.

ბევრი იშვიათი რამ გაუტოვებია მათ მარჯვე ხელგის. აი, მაგალითად „დანა-გოში“, რომელიც არტელ წითელი ოქტომბრის“ წვერმა ოსტატმა ა. ანანევა დაამზადა. ამ უნიკალურ დანას ასი დამატებითი საკანი აქვს, მათ შორის ყვავილის ასატრელი, ქირურგიული დანა, ქსამართეხელი, ნემსი, ბეჭედი და სხვ.

ფაქიზი ნამუშევრის კარგი ნიმუშია აგრეთვე ოსტატ კ. კულაგინის მიერ დამზადებული ლითონის კლიტე წონით 0,71



ქ ა დ რ ა კ ი

თ. გიორგაძის რედაქციით.


ჩემი რკვენი

დიდი ხანი არ არის, რაც ჭადრაკს ვთამაშობ, შორის გავხდი საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის, საქართველოს გუნდის წევრად ვმონაწილეობდი საბჭოთა კავშირის გუნდურ პარტიკულაში. აქ შევხვდი საქვეყნოდ ცნობილ მოჭადრაკეებს. ყველასთან საინტერესო პარტიები შეიშალა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა პარტია ლენინგრადის ჩემპიონ ბიგლოვასთან. დებიუტი კარგად ვითამაშე და მაღელ მოსახებში მდგომარეობაში მივიღე, მაგრამ გამოუცდელი ვიყავი ავტომატად, გამარჯვების სიხარულმა ამიტომ დაუშვი უსმეო შეცდომა და დავმარცხდი. ეს წაგება გავკეთოილად გამოიხატა.

საკავშირო X V პირველობის ფინალში შევხვდი რჩეულ საბჭოთა მოჭადრაკე ქალებს. მონიწიე თამაში აგრეთვე ბიგლოვასთან. მასსოვდა მწარე დამარცხება, ამიტომ პარტიას განსაკუთრებული სერაფოზულობით მოვეყიდე და შევქევი სხელოვან ჩემპიონზე რევანშის აღება.

ქვემოთ მოჰყავს ბიგლოვასთან სარევანშო პარტიის ფინალი:

ბ ი გ ლ ო ვ ა ს



ბ ა ბ ბ ბ ბ ბ ბ

თუტრები შეტევასთვის მომზადებული არიან, ამიტომ ისინი ავთორიტეტს პაიკებთ იერიშს. 14. გ4 კ6 (აქ უკეთესი იყო 17-15. ახლა ბიგლოვა სტრატეგიულად წასაგებ მდგომარეობას ღებულობს) 15. 15 ე68 (გაცვლები მხოლოდ თეორების სასარგებლო იქნება) 16. 16 კ8 17. მ3 ღ8 18. კ68!! ხ6 (თუ 19...სგ, მაშინ 19. 17+მფ8 20. 16 ღ ღ8 21. მ68 მოგებით) 19. ღ1 კ8 20. ღ14 კ68 21. კ68 ღ14 და შავები დანებდნენ, ვინაიდან მოჭარა ღ14-16-გ7X შეუძლებელია მოიგერიონ.

მლინო ბაბაძემ,

პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე.



ჭ ი თ ნ ე რ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ალექსანდრე აბაშელი—უკვდავი სახელი (ლექსი) 2
 გიორგი ლეონიძე—შენ—დიდება... (ლექსი) 2
 ოლეს გონიარო—ბალატონზე (მოთხრობა, უკრაინულიდან თარგმნა) კ. ხუნდაძემ) 3
 ბოლან ჩალი—შესყვდრა (პოემა, უკრაინულიდან თარგმნა მურმან ლუბანიძემ) 8
 ნაზი კილასონია—დღეს (ლექსი) 11
 გრიგოლ ჩიქოვანი—მეორე ოჯახი (მოთხრობა, დასასრული) 12
 ლევან ასათიანი—მგზნებარე პატრიოტი და ჰუმანისტი (წერილი) 19
 როლან ჩანანაძე—ერთი ზაფხულის სურათები (პოეზია) 20
 ვ. გიორგობანი—ივანე მახაბელი (წერილი) 25
 გ. ოქროშვილი, გ. ხენუაშვილი—მეჭარიხებულ ფერმ.ში (ნარკვევი) 26
 ილია სისარულიძე—ქათამი და იხვი (იკავ-პარაკი) 28
 შოთა სულაბერიძე—წიგნი საყვარელ მწერალზე (წერილი) 30
 მოკლე დ ყველა დეერ ხე: ა) მიწისქვეშა პარნიზი, ბ) კალენდარი, გ) პავლეოვი ოსტატები 31
 ჭადრაკი 32
 გასართობი: ა) თავსატეხი ბ. ნახუცრიშვილისა, ბ) ლაბირინთი ა. ხახუნისა, გ) კროსოვარი ვ. მანჯგვიძისა გარეკ. 3
 გარეკანის პირველ გვერდზე—„ბიონერულმძღვანელთან ერთად“—ნაბატი აღ. ზანქელაძისა.
 გარეკანის მეორე გვერდზე—ფრაგმენტი დ. გაბიტაშვილის [სურათისა „სახლი გორში“.
 გარეკანის მესამე გვერდზე—დ. გაბიტაშვილის ნაბატი—„ცლინა წყურვილი“—ფერადი ფოტო რ. რაზმაძისა.
 ყურნალი დასურათებულია მხატვრების: აღ. ზანქელაძის, კ. მახარაძის, გ. ფოცხიშვილის, ზ. ლევაშას, გ. თოთბაძის, დ. ხანტაშვილის და ვლ. ჯავახიძის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგაიანი. სარედაქციო კოლეგია: რ. რელიანძე, გ. ვარლამაძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ტელოძე, მ. ლუბანიძე (პ/მე. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ვ. ქარელიშვილი, გ. შატერაშვილი.

რედაქციაში შემოსული მასალა უნდა ატვირთვას არ უბრუნდეს.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. Март, № 3, 1954. Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული, ტელ. 3-81-85.

№ 02508 ტირაჟი 15.000 გამოცემა, შეჯ. № 47 სტამბის შეჯ. № 241. პოლიგრაფიული კომბინატი „ქომუნისტი“.

გ ე ს ა რ თ ო ბ ი



თ ა ვ ს ა ტ მ ხ ი

დავით გურამიშვილის სურათის ირგვლივ მოთავსებულია მისი ერთ-ერთი ცნობილი აფორიზმი. გადაადგილეთ უჯრები, ისე, რომ იგი წაითხოთო.

ქ რ ო ს ვ ო რ დ ი



მ ი მ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ

1. ფრანგი მხატვარი, მშვიდობისათვის მებრძოლი, 2. ი. ჯაჭავაძის მიერ დაარსებული გაზეთი, 3. სამხედრო ძალების საზეიმო დათვალიერება, 5. საცხენოსნო სპორტის სახე, 8. პლანეტა, 10. ცნობილი ქართული ოპერა, 11. შექსპირის ტრაგედია, 13. რიცხვი, 14. სუსტი ქარი, 17. საბერძნეთის ზღვა, 19. ჰომეროსის უკვდავი ნაწარმოები, 20. მინერალური წყალი, 21. ქალაქი ჩრდილოეთ აფრიკაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.



ლ ა ბ ი რ ი ნ თ ი

მხატვარმა დახატა ლაბირინთი, მაგრამ დავიწყდა, რომელი შესასვლელიდან შევიდეს, რომ მოხვდეს ცენტრში. დაეხმარეთ მხატვარს იპოვოს შესაფერი და ლაბირინთის ცენტრისაკენ მიმავალი გზა.



ჰ ო რ ი მ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ

4. სსრ კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის დედაქალაქი, 6. კონტინენტი, 7. სპორტული ინვენტარი, 9. ხის სახლი, 12. გიორგი წერეთლის ერთ-ერთი რომანის გმირი ქალი, 14. აქროლადი ნივთიერება, 15. თანამედროვე მოწინავე ფრანგი მწერალი, 16. განდევნილი, 18. ქალაქი საბჭოთა კავშირში, 20. საგანთა სახელწოდებების თანამიმდევრულად ჩამოთვლა წერილობით, 22. მუსიკალურ ბგერათა ჰარმონიული შეერთება, 23. ცხოველი, 24. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი დიდი მდინარე.

